ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №111

ქ. დმანისი

09 აგვისტო, 2018 წელი

ერთის მხრივ **დმანისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ტატუაშვილის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „კოლა მოსეშვილი"-ს (შემდგომში "მიმწოდებელი") სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი - შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სოფელ მთისძირში არსებული საშიშროების მქონე ზეხმელი და ავარიული ხის ნარგავების, კერძოდ ერთი ვერხვის ხის მოჭრისა და ერთი ვერხვის ხის გადაბელვის და დამუშავების მომსახურების შესყიდვა (CPV-77300000).

2.2. შესასრულებელი სამუშაო მოცემულია დეფექტურ აქტში, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს(დღგ-ის გარეშე).

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- გაწეული მომსახურების დასახელება;
- გაწეული მომსახურების მოცულობა;
- გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერაზე უფლებამოსილი პირი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის საკითხებში - ვიქტორ ქრისტესიაშვილი.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. მომსახურების გაწევის ვადაა- ხელშეკრულების გაფორმებიდან 5(ხუთი) კალენდარულ დღეში.

DMANISI MUNICIPALITY CITY HALL 22892839

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის საკითხებში - ვიქტორ ქრისტესიაშვილი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,7%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

14. რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53	ი/მ „კოლა მოსეშვილი“ მის.: ქ.დმანისი, კ.გამსახურდიას ქ. N24 საიდენტიფიკაცო კოდი: 15001008009 საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE49LB0112184511368000 ტელ.: 558 25-15-27

დმანისის მუნიციპალიტეტის
მერი

ი/მ „კოლა მოსეშვილი“

_____ გიორგი ტატუაშვილი

_____ კოლა მოსეშვილი

დეფექტური აქტი

სოფ. მთისძირი *14. 03. 2018წ.*

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ფუნქციების შემსრულებელმა კომუნალური მეურნეობების საკითხებში - **ვიქტორ ქრისტესიაშვილმა,** მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა - **მალხაზი გვიჩიანმა** მერის წარმომადგენელმა ოროზმანის ადმინისტრაციულ ერთეულში - **ბახრამ მურადოვმა,** შევადგინეთ დეფექტური აქტი მასზედ, რომ სოფელ მთისძირში მოქალაქე ზაკირ გაჯიევის სახლთან არსებული ვერხვის ხე საჭიროებს გადაბელვას დაახლოებით 8 მეტრი სიმაღლეზე არსებული ორი განშტოებიდან ერთი, რომელიც სახლის მხარეს არის გადახრილი და ქარის დროს უქმნის საფრთხეს საცხოვრებელ სახლს. ასევე საჭიროა იქვე არსებული მეორე ხის მოჭრა ძირში რომელიც არის გადახრილი და მცირე ქარის დროსაც საფრთხეს უქმნის გვერდზე მდგომ დამხმარე ნაგებობას. მოჭრილი ხეები უნდა დამუშავდეს 0,40 სმ. სიგრძეზე და დასაწყობდეს ააიპ ,,დმანისის კომუნალური სამსახურის" ტერიტორიაზე.
აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად საჭიროა სავარაუდოდ 400 (ოთხასი ლარი)ლარი.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

1. ვ.ქრისტესიაშვილი
2. მ. გვიჩიანი
3. ბ.მურადოვი

აქტი N 2

სოფ: მთისძირი 15.03.2018წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერები, ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოსახლეობისა და შენობა ნაგებობებისათვის საშიშროების მქონე ზეხმელი და ავარიული ხის ნარგავების ფორმირების ან მოჭრის ნებართვის მომზადების კომისიამ"

1. არიფ სულეიმანოვი - მერის მოადგილე. კომისიის თავჯდომარე;
2. თემურ ტატულაშვილი - მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. კომისიის წევრი;
3. ივანე ბერუაშვილი - ააიპ ,,დმანისის კომუნალური სამსახურის უფროსი. კომისიის წევრი;
4. ვიქტორი ქრისტესიაშვილი მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის ფუნქციების შემსრულებელი. კომისიის წევრი;
5. მალხაზ გვიჩიანი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი. კომისიის წევრი;
6. ბახრამ მურადოვი - მერის წარმომადგენელი ოროზმანის ადმინისტრაციულ ერთეულში. კომისიის წევრი.

1) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირში მცხოვრები მოქალაქე ზაკირ გაჯიევის განცხადების საფუძველზე.(რეგ.05.03.2018წ N989/07). ასევე ამავე ტერიტორიაზე არსებული ვერხვის ხის ძირში მოჭრა, რომელიც დაზიანებული და გადახრილია, მცირეოდენი ქარის დროსაც საშიშროებას უქმნის დამხმარე ნაგებობას.
2) კომისიამ ადგილზე შეისწავლა აღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ 1) დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირში ზაკირ გაჯიევის საცხოვრებელ სახლთან მდებარე ვერხვის ხე ნამდვილად უქმნის საფრთხეს ქარის დროს საცხოვრებელ სახლს, ამიტომ საჭიროებს გადაბელვას დაახლოებით 8 მეტრზე არსებულ ორი განშტოებიდან ერთ-ერთს, რომელიც სახლის მხარეს არის გადახრილი. 2) ასევე საჭიროა იმავე ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ვერხვის ხის მოჭრა ძირში რომელიც გადახრილია და ქარის დროს საფრთხეს უქმნის გვერდზე მდგომ დამხმარე ნაგებობას.

1) ექვემდებარება ნაწილობრივ გადაბელვას.
2) ექვემდებარება ძირში მოჭრას.

- ა. სულეიმანოვი
- თ. ტატულაშვილი
- ი. ბერუაშვილი
- ვ.ქრისტესიაშვილი
- მ. გვიჩიანი
- ბ. მურადოვი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი

09 აგვისტო 2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 09.08. 2018 წლის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №111 ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი _____ **გიორგი ტატუაშვილი**

მერიის სივრცითი მოწყობისა და
ინფრასტრუქტურის სამსახურის მესამე
რანგის მესამე კატეგორიის
უფროსი სპეციალისტის _____ **ვიქტორ ქრისტესიაშვილი.**